ხელშეკრულება №222/16

(საკუთარი სახსრები)

„30" დეკემბერი 2016 წ. ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია"**, (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი კომპანიის გენერალური დირექტორის **ლევან დვალის** სახით და მეორეს მხრივ, შპს **„ორისი"** (შემდგომში-მიმწოდებელი), მისი დირექტორის **დავით გოთოშიას** სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე და მოხსენებითი ბარათის შ-17864 საფუძველზე ერთპირთან მოლაპარაკების საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში-შესყიდვის ობიექტი) მრავალვალუტიანი 10 მომხმარებლიანი საბუღალტრო პროგრამა „ორის ბუღალტერია"-ს 1(ერთი) წლიანი განახლების მომსახურების შესყიდვა, დანართი №1-ში მოცემული კონკრეტული მომსახურების სახის და CPV კოდის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად)

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს **1237.44 (ერთი ათას ორას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 44 თეთრი) ლარს.**

2.2. გასაწევი მომსახურების ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დაასრულოს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N2 სალიცენზიო პირობები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის" საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ქმუტაშვილი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5.2. მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მომსახურების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

5.3. 5.2 პუნქტის შესრულებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 4.2 პუნქტის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირ(ებ)ი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- გაუწიოს მომსახურება შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მიაწოდოს „შემსყიდველს" სრულყოფილი და დროული მომსახურება;
- კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
- დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაციის" საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ქშუტაშვილი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.3. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 ეგზემპლარი შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს მელიორაცია"
ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ბანკის კოდი: BAGAGE22
სს: საქართველოს ბანკი;
ა/ა: GE58BG0000000182323100
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568
ლევან დვალი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. ,,ორისი"
საიდენტიფიკაციო კოდი 206033754
მისამართი ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12ბ.
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000120121601

დავით გოთოშია
დირექტორი

დანართი N1

N	მომსახურების დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	საერთო ფასი
1	პრ.განახლება A10M/U	48443000	1 მომსახურება	1237.44
	სულ:			1237.44 ლარი

„შემსყიდველი"

შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია"

გენერალური დირექტორი

ლევან დვალი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ორისი"

დირექტორი

დავით გოთოშია

სალიცენზიო პირობები

დანართი N2

საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

„შემსყიდველი"

შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია"

გენერალური დირექტორი:

ლევან დვალი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. ,,ორისი"

დირექტორი

დავით გოთოშია